საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

თბილისი
2015

კვლევა განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - "ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში" - ფარგლებში, "ღია საზოგადოების ფონდების" (OSF) ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორები: **სალომე საღარაძე**
**სოფიო ჭარელი**
**სულხან სალაძე**

კვლევის ასისტენტი: **გვანცა ხარებავა**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ გვარამაძე**
**სულხან სალაძე**

---

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

---

*© 2015, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1. მიზნები და მიზეზები .......... 4

2. მეთოდოლოგია .......... 4

3. ძირითადი მიგნებები .......... 5

4. საქართველოს კანონმდებლობა .......... 6

4.1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო .......... 7

4.2. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც საწარმოთა ქმედითი მმართველი - საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები .......... 8

5. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირები .......... 10

5.1. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმოები .......... 10

5.1.1. მართვის უფლებით გადაცემული საწარმოები .......... 13

5.2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება .......... 14

ა) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა .......... 15

ბ) სახელმწიფო შესყიდვები .......... 16

5.3. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონება .......... 18

5.4. მომგებიანი საწარმოები .......... 20

5.5. საწარმოების ონლაინ-გამჭვირვალობა .......... 21

დასკვნა .......... 29

დანართი #1 .......... 30

დანართი #2 .......... 39

## 1. მიზნები და მიზეზები

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო აქტიურად აფუძნებდა როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო იურიდიულ პირებს და, მთელ რიგ შემთხვევებში, მათზე მნიშვნელოვანი საჯარო უფლებამოსილების დელეგირებას ახდენდა. ამასთან, არაერთი ფართომასშტაბიანი პროექტი, რომლის დაფინანსების წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა, სწორედ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა. ხოლო, ამ იურიდიული პირების მართვა-განკარგვაში დღემდე რჩება მნიშვნელოვანი საჯარო ქონება, რომელიც დადგენილი წესით მათ გადაეცემა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირები აქტიურად იყვნენ (არიან) ჩართულნი არაერთ პროექტში, თავად ამ იურიდიული პირების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების სტანდარტი ძალიან დაბალია და, რიგ შემთხვევაში, საერთოდ არ არსებობს. სამწუხაროდ, არსებითი ცვლილებები, რასაც სისტემური ხასიათი ექნებოდა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს დაადგენდა, დღემდე არ განხორციელებულა.

საგულისხმოა ისიც, რომ საკითხის პრობლემურობის შესახებ საუბარი იყო ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მესამე მონიტორინგის ანგარიშში.[1] მაგ: OECD-ის ანგარიშის თანახმად, გამჭვირვალობის ნაკლებობის, არაერთი საგამონაკლისო წესისა და მმართველობითი ორგანოების დაკომპლექტებისას კონკურსის ფორმის გამოუყენებლობის გამო, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მაღალია კორუფციის რისკი.[2]

ზემოთ აღნიშნული საკითხები, მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ მიზეზებისა, რაც გახდა კვლევის წინაპირობა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს:

- საკანონმდებლო ბაზის ანალიზი (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებით);
- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი კლასიფიკაცია საწარმოებში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობისა და, ასევე, ფუნქციების მიხედვით;
- სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების მიმოხილვა სტატუსის (მოქმედი, უმოქმედო) და არსებული კაპიტალის მიხედვით;
- აღნიშნული საწარმოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების შეფასება (მაგ. არსებობს თუ არა ეთიკის სტანდარტის დამდგენი შიდა დოკუმენტები, შიდა აუდიტები, კორუფციის პრევენცია, მენეჯერულ თანამდებობებზე კონკურსის წესით კანდიდატების შერჩევა და სხვა);
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო იურიდიულ პირებთან მიმართებით. ამავე სააგენტოს სტრატეგია და გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ადგილი სტრატეგიაში.

კვლევა არ მოიცავს იმ სამეწარმეო იურიდიულ პირებს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ არიან დაფუძნებულნი, ასევე, იმ საწარმოებს, რომლებიც, მართალია, სახელმწიფოს მიერ იქნა დაფუძნებული, მაგრამ მართვის უფლებით გადაცემულია საჯარო თუ კერძო პირებისთვის.

## 2. მეთოდოლოგია

კვლევაზე მუშაობის დროს საია იყენებდა შემდეგ მეთოდებს:

- არსებული სამართლებრივი ბაზის ზოგადი ანალიზი;
- მთავრობის ადმინისტრაციიდან, სამინისტროებიდან და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შესაბამისი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა.

კვლევაზე მუშაობის დროს დეტალურად გაანალიზდა მიღებული ინფორმაცია. პარალელურად, საიამ დაამუშავა www.declaration.gov.ge-ზე გამოქვეყნებული თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების ხელმძღვანელების (დირექტორების) წლიურ შემოსავალს შეეხებოდა. ასევე, განხორციელდა სახელმწიფოს მართვაში არსებული იმ საწარმოების ვებ-გვერდების მონიტორინგი, რომელთა კაპიტალი მილიონ ლარს აღემატებოდა.

[1] http://www.oecd.org/corruption/acn/GEORGIAThirdRoundMonitoringReportENG.pdf;

[2] OECD 3rd Round Monitoring Report, p.102-103;

## 3. ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შემდეგი მნიშვნელოვანი მიგნებების გამოყოფა შეიძლება:

- 2013 წელს სახელმწიფოს მართვაში არსებული 373 საწარმოდან მხოლოდ 13% იყო მომგებიანი.[3]
- არ არსებობს რაიმე სპეციალური რეგულაცია, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების გამჭვირვალობის თუნდაც მინიმალურ სტანდარტს დაადგენდა.
- 2014 წლის განმავლობაში[4] სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სულ 52 საწარმოს დირექტორს/ხელმძღვანელს აქვს წარდგენილი ქონებრივი დეკლარაცია, რომლის მიხედვით, მათი შემოსავლები აღნიშნულ პოზიციაზე ჯამში 1,455,305 ლარს შეადგენს.
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა აქტივები ჯამში **922,265,390** ლარს და **244,560** აშშ დოლარს შეადგენს. მათ შორის ყველაზე დიდი საწესდებო კაპიტალი შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" აქვს – 226,355,957 ლარის ოდენობით. თუმცა, მიუხედავად კაპიტალის მოცულობისა, კომპანიას დღემდე ვებ-გვერდიც კი არ აქვს.
- საქართველოს მთავრობამ 2013-2014 წლების განმავლობაში 20 დადგენილება მიიღო სახელმწიფო შესყიდვების სპეციალური წესის შესახებ. ამ საწარმოთა შორისაა, მაგალითად: სს „საქართველოს ელექტრო სისტემა", სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი", შპს „თბილავიამშენი", შპს „საქართველოს ფოსტა", შპს „ენგურჰესი", შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია" და სხვა.
- ინფორმაციის ის კატეგორია, რომლის შეგროვებასაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საწარმოებისთვის გაგზავნილი შაბლონით ცდილობს, უმეტესწილად ფინანსური ხასიათისაა. შაბლონის საშუალებით მონაცემთა შეგროვების მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების, როგორც მოქმედი საწარმოების, სიცოცხლისუნარიანობის დადგენა და, ასევე, საწარმოთა შეფასება მათი შემდგომი რეორგანიზაციის მიზნით. თუმცა, აღნიშნული შაბლონის საშუალებით მიღებული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ეფექტურ მექანიზმად.
- არ არის განსაზღვრული საწარმოების მხრიდან წლიური ანგარიშების წარდგენის ფორმა, წესი და პირობები. მსგავსი დოკუმენტების არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოებთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ იმ საწარმოთაგან, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფებიან, 14 მათგანს გააჩნია ეთიკის მარეგულირებელი წესები და, ასევე, ახორციელებენ თვითშეფასების კვლევას. ხოლო 11 საწარმოში მხოლოდ ეთიკის მარეგულირებელი წესები არსებობს.
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებულ არცერთ საწარმოში ამ დრომდე მმართველი რგოლის დანიშვნა კონკურსის წესით არ განხორციელებულა. სამწუხაროდ, მსგავსი ვალდებულება არც კანონით არის განსაზღვრული. ამასთან, კონკურსის და შეჯიბრებითობის წესების გამორიცხვა თავისთავად აჩენს საწარმოებში მენეჯერულ პოზიციაზე დასანიშნ პირთა მიმართ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად, პირადი სიმპათიის მიხედვით მიღების შესაძლებლობას.
- სააგენტო არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საწარმოებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ, რაც საწარმოების მხრიდან ანგარიშვალდებულების სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.
- სააგენტოს ინფორმაციით, 2012-2013 წლებში სახელმწიფომ ადგილობრივ თვითმმართველობებს 271 საწარმო გადასცა, ხოლო 27 საწარმო მართვის უფლებით არის გადაცემული სხვადასხვა პირზე (მათ შორის, სამინისტროებსა და კერძო კომპანიებზე).
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა უმეტესობას არ გააჩნია ვებ-გვერდი, არ არსებობს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების, სამომავლო გეგმების, წლიური ანგარიშებისა და სხვა მსგავსი ხასიათის საკითხების შესახებ.

[3] პროცენტულობა გამოთვლილია 2013 წელს არსებული სახელმწიფო საწარმოების რაოდენობის მიხედვით (373 საწარმო);

[4] მონაცემები გამოქვეყნებულია 2014 წელს და ასახავს გამოქვეყნების წინა წლის შემოსავლებს.

## 4. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირები ორ კატეგორიად იყოფიან: ფიზიკური პირები და იურიდიული პირები.[5] ამავე კოდექსის 24-ე მუხლი აყალიბებს იურიდიული პირის ცნებას, რომლის თანახმადაც, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.[6]

იურიდიული პირის მრავალი სახე არსებობს. ის შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი, მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, შესაძლებელია, გამოვყოთ იურიდიული პირის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიშანი: ყოველი იურიდიული პირი იქმნება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და ის, როგორც სამართლებრივი სუბიექტი, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამასთან, ყველა იურიდიული პირი წარმოადგენს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის იქმნება არა ერთჯერადი მოქმედების შესასრულებლად, არამედ ხანგრძლივი ვადით. იურიდიული პირის ქონება განცალკევებულია მისი დამფუძნებლების ქონებისაგან და ა.შ.

იურიდიული პირები, თავის მხრივ, იყოფიან საჯარო სამართლის[7] და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა ნების თავისუფალი გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა. კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის კანონით აკრძალული, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. კერძო სამართლის იურიდიული პირები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფიან: სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები, რომელთა მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა და არასამეწარმეო (არაკომერციული პირები) იურიდიული პირები, რომლებიც ძირითადად არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას. მათ იდეალური მიზნის მქონე იურიდიულ პირებსაც უწოდებენ. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.[8] ხოლო იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.[9]

სამეწარმეო იურიდიული პირი მოგებაზე ორიენტირებული საწარმოა, რომლის უმთავრეს მიზანს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს. სამეწარმეო საქმიანობის ცნებას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი შემდეგნაირად განსაზღვრავს – მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.[10] ამავე კანონის თანახმად, ასევე განსაზღვრულია მეწარმე სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელთაც მიეკუთვნება: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

სახელმწიფოს მეწარმე სუბიექტთა დაფუძნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მეშვეობით შეუძლია.[11] თუმცა, სახელმწიფო უფლებამოსილია, დააფუძნოს მხოლოდ ორი სახის საწარმო: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება.[12]

სახელმწიფოს, გარდა კონკრეტული ტიპის სამეწარმეო სუბიექტების დაარსებისა, ასევე შეუძლია, ფლობდეს წილებსა და აქციებს, რომლებიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში სახელმწიფოს სახელზე უნდა იყოს რეგისტრირებული. აქციები და წილები განეკუთვნება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.[13]

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გარდა, სახელ-

---

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კარი პირველი.

[6] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24.

[7] გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებასა და მარეგულირებელ ნორმებზე აღარ შევჩერდებით.

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, ნაწილი 5.

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24, ნაწილი 6.

[10] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი.

[11] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 3, პირველი პუნქტი, „ჟ" ქვეპუნქტი.

[12] „სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 39, პუნქტი 2.

[13] სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 39, პირველი პუნქტი.

მწიფოს დამატებით აქვს შესაძლებლობა, იმ საზოგადოებაში, რომელშიც ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შექმნას სამეთვალყურეო საბჭო.[14] ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში შესაძლებელია იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას კონკრეტულ საწარმოსთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომლებიც იმავდროულად არიან საჯარო მოსამსახურეები, მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ სათანადო ანაზღაურების გარეშე და მათი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობად. ხოლო სააქციო საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, სამეთვალყურეო საბჭომ დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა  უნდა შეუთანხმოს სახელმწიფოს მიერ ამ საკითხზე უფლებამინიჭებულ პირს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.[15]

### 4.1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

როგორც კვლევაში აღინიშნა, სახელმწიფო უფლებამოსილია, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას მისი სურვილისამებრ, სხვა პირთა ინტერესების შელახვის გარეშე. ამ უფლებების განხორციელებას იგი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მეშვეობით უზრუნველყოფს, რომელიც სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს და ამ სტატუსით 2012 წლის 17 სექტემბრიდან ფუნქციონირებს.[16]

სააგენტოს – რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ია – მიზანს წარმოადგენს: სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და მოქმედ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება. შესაბამისად, როგორც პარტნიორი, იგი იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:[17]

- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში ცვლილების განხორციელება;
- საწარმოების ბიზნეს-გეგმების დამტკიცება;
- საწარმოების მიერ სასესხო ვალდებულებების და კრედიტების აღება;
- საწარმოების მიერ ფილიალების დაფუძნება/ლიკვიდაცია;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საწარმოების წმინდა მოგების განაწილება;
- საწარმოების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, რეაბილიტაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;
- საწარმოების ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა, ჩამოწერა, გაყიდვა, გირაოთი, იპოთეკით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმებით დატვირთვა.

სააგენტო მის მმართველობაში არსებულ წილებსა და აქციებთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით, როგორიცაა:

- **ანალიტიკური დეპარტამენტი.**[18] დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სააგენტოს მართვაში არსებული საწარმოების ფინანსური ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე შემუშავებული წინადადებების/რეკომენდაციების სააგენტოსათვის წარდგენა;
- **მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის სახელმწიფო საწარმოთა მართვის სამსახური.**[19] სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნებასთან, მმართველობაში არსებულ საწარმოებში პარტნიორის უფლება-მოვალეობების შესრულებასა და არსებული წილების/აქციებისა თუ ქონების განკარგვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

---

[14] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 8.

[15] მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 55, პუნქტი 7, „ვ[1]" ქვეპუნქტი.

[16] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 3.

[17] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 3, პირველი პუნქტი, „ტ" ქვეპუნქტი

[18] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 12;

[19] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 14, პუნქტი 4;

- **იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოსთან ურთიერთობის სამსახური.**[20] სამსახური ახორციელებს წარმომადგენლობას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებთან დაკავშირებულ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, თუ სააგენტო წარმოადგენს მხარეს ან მესამე პირს. ამასთან, აღნიშნული საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრამდე ორი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს სააგენტოს. ასევე, საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია, სასამართლოს შეტყობინების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია ქონების სააგენტოს იმ სასამართლო დავის შესახებ, რომელშიც საწარმო წარმოადგენს მოპასუხე მხარეს.[21]

## 4.2. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც საწარმოთა ქმედითი მმართველი – საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები

როგორც სააგენტოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ანალიზი ცხადყოფს, ის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშეს წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების განკარგვის, მართვისა თუ ზედამხედველობის კუთხით, განსაკუთრებით კი, იმ საწარმოებთან მიმართებით, სადაც სახელმწიფო აქციებისა თუ წილების 50%-ზე მეტს ფლობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გავეცნოთ მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა თუ სამომავლოდ დასახულ მიზნებს. ეს საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ არსებული მდგომარეობა, წინ გადადგმული ნაბიჯები თუ ის პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს.

სააგენტოს 2013 წლის ანგარიშის თანახმად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი განვითარების მიზნით, შემუშავდა საწარმოთა მართვის 2014-2015 წლების სტრატეგია.[22] სტრატეგია 4 ძირითად ამოცანას აერთიანებდა:

- საწარმოთა აქტივების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- კოორდინაციის გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების სრულყოფა;
- ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის დასრულება;
- სტრატეგიული მიდგომების გატარება და საწარმოთა კერძო სექტორში გადატანა.[23]

სტრატეგიის განხორციელების პირველ ეტაპზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება:

- შემუშავდა ინფორმაციის შეგროვების ახალი შაბლონი, რომელიც 84 მოქმედ კომპანიას გაეგზავნა;
- გამოთხოვნილ იქნა საწარმოთა ბიზნეს-გეგმები, მათი შემდგომი განხილვისა და დამტკიცების მიზნით;
- შემუშავდა ბრძანება, რომელიც ავალდებულებდა საწარმოებს, მოეხდინათ საკუთარი აქტივების სრული ინვენტარიზაცია და გადაფასება, რათა მომხდარიყო მათი რეალური ღირებულების დადგენა.[24]

სააგენტოს მიერ შემუშავებული ანგარიშების თანახმად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან ინფორმაციის მოძიება დაკავშირებული იყო ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობა და მიწოდებული ინფორმაციის ძალიან დაბალი ხარისხი. არსებული მასალის ანალიზმა აჩვენა არაერთი არსებითი ხარვეზები, როგორიცაა ძალიან სუსტი ფინანსური მენეჯმენტი, საწარმოები, რომელთა არსებული სახით ფუნქციონირება სახელმწიფოსთვის უპერსპექტივოა, არაერთი სამედიცინო სფეროს საწარმო, რომელიც არსებითად დამოკიდებულია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებაზე და სხვა. აღნიშნულის საფუძველზე, პრობლემების აღმოფხვრის კუთხით შემდგომი საანგარიშო პერიოდისათვის დაიგეგმა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.[25]

[20] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 9, პუნქტი 3, „ა" ქვეპუნქტი.

[21] „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის #1-1/1732 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 3.

[22] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/2014040315020211567.pdf

[23] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის მე-2 კვარტალის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/2014073118490255733.pdf

[24] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის პირველი კვარტალის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/201405131023527785.pdf

[25] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის პირველი კვარტალის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/201405131023527785.pdf

სააგენტოს 2014 წლის მეორე კვარტლის ანგარიშის თანახმად, საწარმოებთან კოორდინაციის გაუმჯობესებისა და კონტროლის მექანიზმის სრულყოფის მიზნით, დაიწყო მონაცემთა შეგროვების ახალი ფორმის აქტიური გამოყენება და მის საფუძველზე აწყობილი ფინანსური ანალიზის მეთოდის ამოქმედება. მონაცემთა შეგროვების ახალი ფორმა გაეგზავნა 82 კომპანიას. განისაზღვრა კომპანიების მიერ ინფორმაციის მიწოდების დრო და ფორმატი. პერიოდულად მოხდა რეკომენდაციების გაცემა მონაცემთა შეგროვების ფორმის შევსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.[26]

ამავე პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2014 წლის ბიზნეს-გეგმების შეგროვებასა და განხილვას. არსებული მონაცემების თანახმად, მხოლოდ 66-მა კომპანიამ შეძლო ბიზნეს-გეგმების მიწოდება, რომელთა უმრავლესობა არ აკმაყოფილებდა სააგენტოს მოთხოვნებს. შესაბამისად, არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სააგენტო აგრძელებს აქტიურ მუშაობას კომპანიის მენეჯმენტთან.[27]

სააგენტოს 2014 წლის საერთო ანგარიშის თანახმად, ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის ფარგლებში, სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული უმოქმედო საწარმოების ლიკვიდირების, გაკოტრებისა და რეორგანიზაციის შედეგად, 2014 წლის ბოლოს სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული საწარმოების რაოდენობა 36%-ით შემცირდა.[28]

ამავე ანგარიშის თანახმად, გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა ორგანიზაციის სტრატეგიულმა მიზნებმა და იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:[29]

- მართვის ეფექტური მექანიზმებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა;
- ქონების რაციონალური განკარგვის უზრუნველყოფა;
- სერვისულ ორგანიზაციად ტრანსფორმირება;
- საწარმოთა ქმედით მმართველად ჩამოყალიბება;
- გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კვლევის შინაარსის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხილვა. სააგენტოს 2014 წლის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული უმეტესწილად მოიცავდა სააგენტოს ვებ-გვერდის განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, ვებ-გვერდზე განთავსდა სააგენტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ასევე – ინფორმაცია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და საპრივატიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტების, მიმდინარე და ჩატარებული აუქციონების შესახებ.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ სრულყოფილი სურათის შექმნის მიზნით, კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საიამ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის შესწავლის შედეგადაც ცნობილი გახდა, რომ:[30]

- ამ ეტაპზე სააგენტო მუშაობს გრძელვადიანი და ვრცელი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, რომელიც კიდევ უფრო მეტად იქნება მიახლოებული სააგენტოს მიმდინარე საჭიროებებთან და საშუალებას მისცემს მას, შეაფასოს განვლილ პერიოდში მიღწეული შედეგები, შექმნილი შეფერხებები და განავითაროს ახალი პერსპექტივები.[31] ***ამასთან, საიას მოთხოვნის მიუხედავად, არ იქნა მოწოდებული სააგენტოს 2013-2014 წლების ანგარიშებში წარმოდგენილი სტრატეგია;***
- სააგენტოს 2013 წლის ანგარიშში აღნიშნული საწარმოთა ფინანსური რისკების შეფასების მეთოდოლოგია გულისხმობს შემდეგს – ***საწარმოთა რისკიანობის შესაფასებლად სააგენტო არჩევს კრიტერიუმებს, რომლებიც განისაზღვრება პერიოდულად და რომელთა ერთობლიობიდან დგება რისკიანობის რეიტინგი. ხოლო შეფასებისას სააგენტო იყენებს კრიტერიუმების იერარქიული შეფასების მეთოდოლოგიას;***[32]
- ინფორმაციის შეგროვების მიზნით საწარმოებში გაგზავნილი შაბლონი უმეტესწილად ფინანსური ხასიათისაა. შაბლონის საშუალებით მონაცემთა შეგროვების მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების, როგორც მოქმედი საწარმოების, სიცოცხლისუნარიანობის დადგენა და, ასევე, საწარმოთა შეფასება მათი შემდგომი

[26] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის მე-2 კვარტალის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/2014073118490255733.pdf

[27] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის მე-2 კვარტალის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/2014073118490255733.pdf

[28] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში - http://nasp.gov.ge/res/docs/2015012710061017385.pdf;

[29] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში -http://nasp.gov.ge/res/docs/2015012710061017385.pdf

[30] საიას 2014 წლის 24 ოქტომბრის #გ-04/532-14 განცხადება.

[31] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 10 ნოემბერის #14/42875 კორესპონდენცია.

[32] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 10 ნოემბერის #14/42875 კორესპონდენცია.

რეორგანიზაციის მიზნით. ***შესაბამისად, აღნიშნული შაბლონი ვერ ჩაითვლება კორუფციის პრევენციისა და მასთან ეფექტურად ბრძოლის მიზნით შექმნილ მექანიზმად;***

- ***სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთაგან მხოლოდ 14 მათგანს გააჩნია ეთიკის მარეგულირებელი წესები და, ასევე, ახორციელებს თვითშეფასების კვლევას, ხოლო 11 საწარმოში არსებობს მხოლოდ ეთიკის მარეგულირებელი წესები;[33]***
- ***სააგენტოს მართვის ქვეშ არსებულ საწარმოებში ამ დრომდე მმართველი რგოლის დანიშვნა კონკურსის წესით არ განხორციელებულა.[34]***

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მისასალმებელია სააგენტოს მიერ განხორციელებული არაერთი ეფექტური ღონისძიება საწარმოების ფუნქციონირების, მართვისა და კონტროლის გაუმჯობესების კუთხით. თუმცა, საგულისხმოა, რომ კვლავ არსებობს არაერთი პრობლემა, რომელიც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

განსაკუთრებით პრობლემატურია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტი. მართალია, კანონმდებლობის თანახმად, საწარმოები ვალდებულნი არიან, წლიური ანგარიშები წარუდგინონ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს,[35] თუმცა, საგულისხმოა, რომ არ არის განსაზღვრული წლიური ანგარიშების წარდგენის ფორმა, წესი და პირობები, რაც თავისთავად ნეგატიურ გავლენას ახდენს პროცესზე და ზრდის ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შესაძლებლობას.

პარალელურად, არანაკლებ შემაშფოთებელია არსებული პრაქტიკა, რომლის თანახმად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა უმეტესობას არ გააჩნია ვებ-გვერდი, არ არსებობს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების, სამომავლო გეგმების, წლიური ანგარიშებისა და სხვა მსგავსი ხასიათის საკითხების შესახებ.

მართალია, სააგენტოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა განსაზღვრული, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამას არაფერი აქვს საერთო თავად საწარმოთა გამჭვირვალობის უზრუნველყოფასთან და, უმეტესწილად, სააგენტოს ვებ-გვერდის სრულყოფისკენ არის მიმართული.

## 5. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირები

ამ თავში მოცემულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების შესახებ ინფორმაცია და განხილულია სამართლებრივი საკითხები მათი გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კუთხით.

### 5.1. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვის ქვეშ არსებული სახელმწიფო საწარმოები

დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვის ქვეშ ჯამში 264 მოქმედი საწარმოა (იხ. დანართი №1),[36] აქედან 146 დარგობრივი, ხოლო 118 სოციალური ინფრასტრუქტურის საწარმო.[37]

---

[33] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 02 დეკემბრის #14/46445 კორესპონდენცია;

[34] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 10 ნოემბრის #14/42875 კორესპონდენცია;

[35] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის #391 დადგენილება, მუხლი 12, „ა“ ქვეპუნქტი და „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის #1-1/1732 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 8.

[36] http://nasp.gov.ge/res/docs/201405191721401604.pdf მონიტორინგის ჯგუფმა საჯარო რეესტრში გადაამოწმა აღნიშნული საწარმოები და გამოარკვია, რომ 2015 წლის 17 თებერვლისთვის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ საწარმოთა ნაწილი ლიკვიდირებულია, რეორგანიზებულია, ან იმყოფება ლიკვიდაცია-რეორგანიზაციის რეჟიმში. შესაბამისად, არ არის ასახული წინამდებარე თავში.
2014 წელს დაფუძნდა კიდევ 2 შპს: შპს „ანაკლია“ და შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“, რომელიც არ არის ასახული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ სიაში.

[37] 83 საწარმოს საქმიანობის სფეროში შედის მრეწველობა, ენერგეტიკა, ვაჭრობა და ა.შ.




მათ შორის, 213 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, ხოლო 51 სააქციო საზოგადოების სახით არის დაფუძნებული.




აქვე აღსანიშნავია, რომ 2012-2014 წლებში პრივატიზებულ იქნა 7 საწარმო, ხოლო აქედან მიღებულმა შემოსავლებმა 2,244,001 ლარი შეადგინა.[38] გარდა ამისა, სააგენტოს ინფორმაციით, ადგილობრივ თვითმმართველობებს 2012-2014 წლებში 267 საწარმო მართვის უფლებით, ხოლო 4 საწარმო საკუთრებაში გადაეცა.[39]

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს სახელმწიფოს მართვაში არსებულ საწარმოებში დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით არ მოეპოვება.[40] თუმცა, 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, 51%-ზე მეტი წილის მქონე 67 საწარმოს მონაცემების თანახმად, რაც დღეს მოქმედი სახელმწიფო საწარმოების დაახლოებით

[38] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 ნოემბრის #14/45228 წერილი და 2015 წლის 05 მარტის #14/12053 წერილი.

[39] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 ნოემბრის #14/45228 და 2015 წლის 05 მარტის #14/12053 წერილი.

[40] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 05 მარტის #14/12053 წერილი.

25%-ია, დასაქმებულთა რაოდენობა 7475-ს შეადგენს.[41] დანარჩენი საწარმოების (დაახლოებით 75%) შემთხვევაში კი უცნობია, თუ რამდენი პირია დასაქმებული.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ნათლად მიუთითებს, რომ სააგენტო არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საწარმოებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ, რაც საწარმოების მხრიდან ანგარიშვალდებულების სისტემის სისუსტეზე მეტყველებს.

იმის გათვალისწინებით, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საწარმოში წილის/აქციის პროცენტული ფლობა სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევს, კვლევაში წარმოდგენილია საწარმოების რაოდენობა საწარმოში სახელმწიფო წილის ფლობის მიხედვით.




- აქციების **5%**-ის მფლობელ აქციონერს უფლება აქვს, მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის შემოწმება, რიგგარეშე კრების ჩატარება; შესაბამისი მმართველობის ორგანოდან მოითხოვოს საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.[42]
- იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის **50%**-ზე მეტს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში შესაძლებელია იყოს საჯარო მოსამსახურე, თუ მას კონკრეტულ საწარმოსთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, აგრეთვე, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს უნდა ასრულებდეს სათანადო ანაზღაურების გარეშე.[43]
- სახელმწიფოს **50%-ზე მეტი** წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საწარმომ, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემთხვევაში, საწარმოს ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა უნდა განათავსოს საწარმოს ანგარიშზე. ასევე, ის უფლებამოსილია, აღნიშნული თანხა გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარად.[44]
- სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა არ აჩერებს სარეგისტრაციო წარმოებას სახელმწიფოს **50%-ზე მეტი** წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში.[45]
- საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის **50%-ზე მეტს**, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.[46]
- სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის, ასევე, საწარმოების შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა ხმების **75%**.[47]

[41] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 05 მარტის #14/12053 წერილი.

[42] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლი.

[43] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი.

[44] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი.

[45] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14[4] მუხლის მე-7 პუნქტი.

[46] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ვ[1]“ ქვეპუნქტი.

[47] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14[4] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

- სააქციო საზოგადოების ხმების **95%-ზე მეტის** მფლობელი აქციონერი უფლებამოსილია, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციები.[48]

### 5.1.1. მართვის უფლებით გადაცემული საწარმოები

როგორც კვლევაშია აღნიშნული, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმო, შესაძლოა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მართვის უფლებით გადასცეს სხვა სუბიექტს.[49] სააგენტოს ინფორმაციით და აუდიტის სამსახურის 2015 წლის დასკვნის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მართვის უფლებით გადაცემულია 27 სამეწარმეო იურიდიული პირი.[50]

ცხრილში წარმოდგენილია საწარმოთა სია, რომელთა წილებიც მართვის უფლებით არის გადაცემული:

| | სახელწოდება | ფორმა | გადაცემული წილი | საიდენ. კოდი | საწარმოს მმართველი პირი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი | შპს | 100% | 203836625 | შპს "ინტერნეიშენალ ივენთი" |
| 2 | ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური | შპს | 100% | 245383678 | შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ" |
| 3 | ქართული ფილმი | სს | 100% | 202054196 | შპს "ქართული კინოს განვითარების ფონდი" |
| 4 | სეტი | შპს | 100% | 435891126 | შპს "უილსფორტ ჰორეკა" |
| 5 | საქართველოს ლატარიის კომპანია | შპს | 70% | 204568208 | შპს "საქართველოს ფოსტა" |
| 6 | ღვინის ლაბორატორია | შპს | 100% | 202330398 | სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" |
| 7 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი | შპს | 100% | 202059388 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო |
| 8 | მიწის რეაბილიტაციის სააგენტო | შპს | 100% | 404406013 | სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია" |
| 9 | სპორტმშენსერვისი | შპს | 100% | 204878542 | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო |
| 10 | საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია | სს | 100% | 404858285 | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| 11 | საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია | შპს | 100% | 204524568 | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| 12 | თეთნულდი დეველოპმენტი | შპს | 100% | 236049904 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| 13 | ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია | შპს | 100% | 220341324 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |

[48] „მეწარმეთა შესახებ" კანონის $53^4$-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[49] აღნიშნულთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზა წინამდებარე კვლევის 4.2 ქვეთავშია განხილული: სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების განკარგვა.

[50] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 აპრილის #14/14466 კორესპონდენცია.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14 | საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია | შპს | 100% | 412670097 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| 15 | საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია | შპს | 100% | 404942470 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| 16 | სახელმწიფო სამშენებლო კომპანია | შპს | 100% | 205140257 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| 17 | საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია | შპს | 100% | 206103722 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 18 | ენგურჰესი | შპს | 100% | 251716371 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 19 | გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო | სს | 50% | 211324468 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 20 | საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი | სს | 100% | 404391975 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 21 | თელასი | სს | 25% | 202052580 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 22 | საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია | სს | 100% | 206237491 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 23 | საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა | სს | 100% | 204995176 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 24 | ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი | სს | 100% | 205170036 | საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო |
| 25 | საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება | სს | 100% | 239403463 | კავშირი “დოსტაქარი” |
| 26 | ალფა-კომი | შპს | 100% | 203829250 | |
| 27 | რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი | შპს | 100% | 236035517 | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

გარდა ამისა, სააგენტოს ინფორმაციით, ადგილობრივ თვითმმართველობებს 2012-2014 წლებში 267 საწარმო – მართვის უფლებით, ხოლო 4 საწარმო – საკუთრებაში გადაეცა.[51]

### 5.2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავში საჯარო დაწესებულების ტერმინის განმარტებაში პირდაპირ არ არის მითითებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმო, თუმცა, ამავე კოდექსის თანახმად,[52] საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული განმარტება, ცხადია, ეხება ასევე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ რეჟიმს მათზეც ავრცელებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ქონების ეროვნული

[51] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 ნოემბრის #14/45228 და 2015 წლის 05 მარტის #14/12053 წერილი.
[52] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

სააგენტოს ვებ-გვერდზე მათ შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 2014 წელს გაჩნდა, რაც, თავის მხრივ, წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ახალი ნორმები არ ვრცელდება ზემოაღნიშნულ საწარმოებზე, ასევე, არ არსებობს რაიმე სპეციალური რეგულაცია, რაც ამ საწარმოებში გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.[53]

გარდა ამისა, საინტერესოა ანგარიშვალდებულების ნორმების არსებობა და მათი პრაქტიკული რეალიზება სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში, რომლებიც ასევე მოიცავს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საწარმოებს. ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტების პრაქტიკული განხორციელების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო საწარმოების მხრიდან ღიაობის და ანგარიშგების ნორმებს შეიცავს.

*ა) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა*

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლი თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის გამოქვეყნების ვალდებულებას ეხება. ამავე კანონით განსაზღვრულია, თუ ვინ არის თანამდებობის პირი.[54] 2013 წლის ნოემბერში კანონში გაჩნდა ახალი ჩანაწერი, რითაც გაფართოვდა თანამდებობის პირთა წრე და აღნიშნულ ტერმინში იგულისხმება ასევე იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100%-ს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე, ამ საწარმოს შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელი. აღნიშნული ცვლილების პარალელურად, მთავრობამ 2014 წლის 12 თებერვალს მიიღო №139 დადგენილება, რომელიც მხოლოდ იმ საწარმოთა ხელმძღვანელებს ავალდებულებს დეკლარაციის წარდგენას, რომელთა წინა წლის ბრუნვა, მოგების ყოველწლიური დეკლარაციის მიხედვით, 100,000 ლარს აღემატება.[55]

საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე ქონებრივი დეკლარაციების ველში[56] ინფორმაციის მოძიების შედეგად გამოვლინდა, რომ 2014 წლის პერიოდში ჯამში 153 დეკლარაცია აქვს წარდგენილი შპს-ების და სს-ების დირექტორებს/ხელმძღვანელებს.[57] მათგან, მხოლოდ 52 საწარმოა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო საწარმოთა დაახლოებით 80%-ის წლიური ბრუნვა 2013 წელს 100,000 ლარიც კი არ ყოფილა. წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით, სახელმწიფო საწარმოების დირექტორებს/ხელმძღვანელებს ანაზღაურების სახით ერთი წლის მანძილზე 1,455,305 ლარი აქვთ მიღებული (იხ. დანართი №2) .

გარდა ამისა, დეკლარაციები წარდგენილი აქვთ ისეთ სახელმწიფო საწარმოებსაც, რომლებიც, 2015 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის თანახმად, სააგენტოს მართვაშია და არ ფუნქციონირებს.[58] ასეთი 16 საწარმოა და მათი ხელმძღვანელების ჯამური შემოსავალი 300,000 ლარზე მეტია. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს სააგენტოს მხრიდან საწარმოების შესახებ ინფორმაციის და ანგარიშვალდებულების ნაკლებობაზე.

დიაგრამაში მოცემულია ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელების/დირექტორების შემოსავლები ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

[53] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილება.

[54] „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

[55] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის #139 დადგენილების 33-ე მუხლი.

[56] https://declaration.gov.ge/

[57] 28 შპს-ს ხელმძღვანელთა დეკლარაციები არ შეიცავს მონაცემებს შემოსავლის შესახებ.

[58] http://sao.ge/files/auditi/efeqtianobis-angarishi/2015/sacarmota-martva.pdf




*ბ) სახელმწიფო შესყიდვები*

ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სახელმწიფო შესყიდვების ღიად და კანონშესაბამისად განხორციელება წარმოადგენს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,[59] სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება იმ საწარმოთა სახსრებით, რომელთა 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, თუმცა კანონი დასაშვებად ცნობს, რომ მთავრობის დამტკიცების შემთხვევაში საწარმომ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესყიდვის სპეციალური წესებით იხელმძღვანელოს.[60] აღნიშნული წესის მიზანია განსახორციელებელი მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების პროცედურების გამარტივება. სპეციალური წესი შემსყიდველ ორგანიზაციას უფლებას აძლევს, გამარტივებული შესყიდვით, პირდაპირი მიყიდვის საფუძველზე, ერთ პირთან მოლაპარაკებით, ფასთა გამოკითხვით და ტენდერით შეიძინოს მთავრობის დადგენილებაში მითითებული საქონელი ან მომსახურება. ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, შემსყიდველი თავად ახორციელებს მოლაპარაკებებს პრეტენდენტებთან, ქმნის სატენდერო კომისიას და დებს ხელშეკრულებას მის მიერ არჩეულ მიმწოდებელთან. სხვა სახის შესყიდვის შემთხვევაში, შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ კანონის შესაბამისად.

[59] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტი.

[60] 3.1 ა) სახელმწიფო შესყიდვა - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში, ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით:

ა.თ) იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში, შესყიდვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის თანახმად, მთავრობამ ბოლო ორი წლის განმავლობაში 20 დადგენილება მიიღო, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების სპეციალურ წესს შეეხებოდა:

| | საწარმოს დასახელება | თარიღი | დადგენილების ნომერი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სს “საქართველოს რკინიგზა” და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/ დაფუძნებული კომპანიები და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიები | 25.12.14 | 706 | 1 წელი |
| 2 | შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ | 19.09.14 | 560 | 1 წელი |
| 3 | შპს „თბილავიამშენი“ და მისი შვილობილი საწარმოები | 12.09.14 | 554 | 2 წელი |
| 4 | შპს “საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია” | 22.05.14 | 355 | 14 თვე |
| 5 | სს “საქართველოს რკინიგზა” და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/ დაფუძნებული კომპანიები და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/ დაფუძნებული კომპანიები | 22.05.14 | 354 | 8 თვე |
| 6 | შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია” | 18.03.14 | 233 | 9 თვე |
| 7 | შპს “EXPRESS” | 12.03.14 | 219 | 2 წელი |
| 8 | შპს “ენგურჰესი” და შპს “ვარდნილჰესების კასკადი” | 20.02.14 | 191 | 2 წელი |
| 9 | შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ | 27.12.13 | 382 | 2 წელი |
| 10 | შპს “საქართველოს ფოსტა” | 05.11.13 | 283 | 2 წელი |
